# სახალხო გაზეთი

№ 144 პარასკევი, 29 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი [illegible] № 144

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

30 ოქტომბერს ლეხუმის მაზრაში, ს. ქვიშს, დღის 12 საათზე მოხდება დასაფლავება ამ დღეებში ქ. ასტრახანიდან მოსვენებულის

## ვიქტორ ყარამანის ძე ღოღელიანისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს **მამა ყარამანი, დედა ნინო, ძმა ლავრენტი, რძალი ეკატერინე და დები: კატო, აგრაფინა და გალინე ღოღელიანები** (2—2)

## ბაქოს ქართულ სკოლისათვის

საჭიროა მასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს სწავლება, როგორც რუსულს, ისე ქართულ ენაზედ, ყველა საგნებისა. ჯამაგირი თვეში **50 მანეთი**. მასწავლებლობის ცენზი საჭიროა. მსურველთ მიმართონ თხოვნით არა უგვიანეს 10 ნოემბრისა:

Правленію Бакин. отд. Общества грамотности [illegible]

გამგეობის მიერ არჩეულნი კანდიდატები მოვალენი იქნებიან მისცენ რამდენიმე ნიმუშო გაკვეთილები ბაქოს ქართულ სკოლაში. (3—177—1)

## სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილისა

№ 5. პარასკევს, 29 ოქტომბერს № 42.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ **ი. გ. გედევანოვის და გამყრელიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

## რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნებიერიძე. ნაკაშიძე, ციმაკურიძე, ბ-ნნი ადამიძე, ანაშვილი, ბაქრაძე, გამყრელიძე, გედევანოვი, გოცირიძე, რომანიშვილი, მეტრეველი, ნარი, ხახანაშვილი, ხონელი, ჭიაურელი და სხ.

**ფასები 50 კ.-დან—5 კ.-მდე.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

გამგეობა სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. ბავშვების თეატრში შესვლა და ფარდის აწევის შემდეგ თეატრში შესვლა აკრძალულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-ან 2-ის და 6-ან საღამოს 8 ს.-მდე.

რეჟისორი **ნ. გოცირიძე.** (1—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

**ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.**

**გ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ე. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. მოძღვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—475)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

**სობოლევსკი გ. მ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შიგადამ საფასურით. (200—ნ—312

**ექიმი** **გ. ნ. მაგაკიანი** **შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ.** (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—66)

**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, **სახლი გაბაშვილისა.** (უ)

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## დიდ ძალი

◀ **ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,** ▶

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—25,

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება რთვით**

## გ ა ი ხ ს ნ ა

## საბავშო ბაღი

**ანასტასია კონსტანტინეს ასულის გედევანიშვილისა.**

დაწვრილებით ცნობათა და პირობათა შეტყობა საბავშო ბაღში მიღების შესახებ შეიძლება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში, დილიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ზუბალაშვილისა, **№ 8. მეცადინეობა დაიწყება 8 ნოემბრიდან**

## კავკასიის ჰაერში მფრენავთა წრე

ტფილისის დოლის საზოგადოების იპოდრომზე,

**შაბათსა და კვირას 30 და 31 ოქტომბერს გამართავს ფრენას.**

გაფრინდებიან ცნობილი ავიატორები

## ა. ა. ვასილიევი და ვ. ს. კებუროვი,

თუ უკანასკნელის აპარატს შეაკეთებენ. ფრენის დასაწყისი: შაბათს, დღის 4 საათზე, კვირას დღის 3 ს. ბილეთები წინ და უკან გაიყიდება ა. დ. კუკუჯანოვისა და ა. ლ. ხარიშჩარიევის მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე ძმ. გულასპოვების ფირმის მიმღებისაგან. ცნობებისათვის სთხოვენ მიმართონ „ერმიტაჟის“ სასტუმროში № 4, რწმუნებულს **გენერალოვს.** (1—179—1)

გამოვიდა და იყიდება „ქართველთა ამხანაგობის“ **წიგნის მაღაზიაში**



გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა** ფასი 10 კაპეიკი. **ადრესი:** ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა. ტელეფ. № 372.

**ექიმი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—21)

**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი** ხწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—11)

**ექიმი** **კბილისა** **ნინო რცხილაძე** იზმაილოვის ქუჩ. ზე N 2. **გადავიდა** ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

**კვირას,** 31 ოქტომბერს, დილის 12 საათზედ დანიშნულია „ვაკეში“ **კრება** „ვაკის“ მემამულეთა და სახლის პატრონთა. კრება მოილაპარაკებს, რა ღონისძიებით უნდა მოეწყოს „ვაკის“ ქუჩებისა, განათებისა და სასმელ წყალის გაყვანის საქმე.

თუ კვირას ავი დარი იქმნება, კრება შემდეგი კვირისთვის გადაიდება. (1—180—1).

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—70)

**ექიმი** **კბილისა** **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე** **იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** **ე. გაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—248)

**ექიმი** **ქ. ქუთაისში** **ვ. თ. ტყეშელაშვილი** დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულება ავადმყოფთ. 9—1 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ., ყარაულოვის სახლი. (5—170—5).

**ექიმი** **გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—9,


## ტფილისი, 29 ოქტომბერი

**წარმოუდგენელი დაუდევრობა.**

ჩვენს დუხჭირ დროში არაფერი არ არის გასაკვირი, ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ არიან მოვლენანი, რომელნიც ეხლაც უნდა იწვევდნენ ჩვენს აღშფოთებას, ჩვენს გულის წყრომას. საქართველოში კულტურულ დაწესებულებათა რიცხვი ძლიერ მცირეა, მათი მოქმედება ყველას თვალ-წინ უდგას, მათი გაჭირვება ყველამ კარგად იცის, მაგრამ სწორედ ამიტომ მათ უნდა წარმოგვიდგინონ თავიანთი მუშაობა, გაგვაცნონ საქმის ვითარება, დაგვანახვონ თავიანთი გაჭირვება, რათა ყოველმა წევრმა საზოგადოებისამ წარმოიდგინოს, თუ როგორ მიდის საქმე, რაში გაიცდიან გაჭირვებას ჩვენი კულტურული დასეწებულებანი, რა გზით არის საჭირო მომავალში სიარული, რომ საქმე გამაგრდეს, გაღრმავდეს და შესაძლებელი ნაყოფი მოუტანოს ჩვენს საზოგადოებას.

აი, სწორედ ამ მხრივ დიდი დანაშაული მიუძღვის დრამატიულ საზოგადოების ძველ გამგეობას. სამი წელი მუშაობდა ეს გამგეობა, სამი წელი უდგა სათავეში ისეთ კულტურულ დაწესებულებას და საქმეს, რომელსაც დღეს-დღეობით ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში და ამ სამის წლის განმავლობაში ერთხელაც არ წაუდგენია ანგარიში საზოგადოების წევრებისათვის, ერთხელაც არ მოსვლია სურვილი გაეცნო საზოგადოებისათვის საქმის ვითარება. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა!

წელს თებერვალში დრამატიულმა საზოგადოებამ ძველი გამგეობა გამოსცვალა და მის ნაცვლად ახალი აირჩია, ძველს კი დაავალა, რაც შეიძლება საჩქაროდ წარმოადგინოს ანგარიში თავის მოქმედებისა. მაგრამ, აგერ, ცხრა თვე გადის, ახალმა გამგეობამ უკვე დაიწყო მოქმედება და ძველს კი ჯერაც არ წარმოუდგენია თავის მოქმედების ანგარიში და არც ხმას იღებს, თუ როდის წარმოადგენს. ამაზე მეტი განა შესაძლებელია? განა ასე შეიძლება გაკეთდეს საზოგადო საქმე? ნუ თუ ისეთ პირებს, რომელნიც საზოგადოებამ ნდობით აღჭურვა, რომელთაც საქმის გაძღოლა მიანდო, უბრალო საანბანო ჭეშმარიტების გაგებაც კი არ შეუძლიანთ: როდესაც საქმეს ჰკიდებ ხელს, მით უმეტესს საზოგადო საქმეს, უნდა იცოდე, რომ ანგარიშის წარმოდგენაა საჭირო.

თებერვლის წლიურ კრებაზედ სარევიზიო კომისიამ განაცხადა, რომ დავთრებში გამგეობას სამი წლის განმავლობაში მხოლოდ სამი თვის ანგარიშები აქვს ჩაწერილიო. შესაძლებელია ეს მართალიც იყოს. ეს მით უმეტეს წარმოსადგენია, რომ გამგეობის წევრებს ეს არ უარ-უყვიათ, თუმცა კი შეჰპირდნენ საზოგადოებას, სეზონს დავათავებთ და ანგარიშებსაც წარმოვადგენთო. უკვე ცხრა თვე გავიდა ამ დაპირების წარმოთქმის შემდეგ და ანგარიშები ჯერაც არ არის წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში საზოგადო კრება დრამატიულ საზოგადოებისა არავის მოუწვევია ამ ანგარიშების დასამტკიცებლად.

ასეთი დაუდევრობა პირდაპირ შეუწყნარებელია და ჩვენც ერთხელ კიდევ გავახსენებთ ძველს გამგეობას, წარმოადგინოს ანგარიში, და თუ ეს სულ მოკლე ხანში არ იქნა შესრულებული, ჩვენ მოვსთხოვთ ახალ გამგეობას მოიწვიოს საზოგადო კრება დრამატიულ საზოგადოებისა ამ ანგარიშების წარმოუდგენლობის გამო. საზოგადოებაც თავის მსჯავრს დასდებს ასეთს მოვლენასა და ახალი გამგეობაც ამისდა მიხედვით გარკვეულს გზას დაადგება.

## სახელმწიფო სათათბირო

თავმჯდომარეობს **თ დი ვოლკონსკი.**

სასკოლო კანონ-პროექტზე კამათი გრძელდება.

**გაიდაროვი** ამ პროექტში გამოკი სამშობლო ენაზე ყველა საგნების სწავლება იკრძალება, ეს ეროვნულ კულტურის მოსპობაა. ორატორის აზრით, ასეთი პოლიტიკა ვერაფერს გააწყობს, რის მაგალითსაც დაღისტანი წარმოადგენს, სადაც, მთავრობის მიერ მიღებულ ყოველგვარ ზომების მიუხედავად, მაინც თათრული ენაა გამეფებული. მთავრობამ მიზნის მისაღწევად რუსული ანბანი შემოიღო ადგილობრივ ენების სასწავლებლად, მასწავლებელთაც ნივთიერი ჯილდო დაუნიშნა, მაგრამ ოსმალურ-თათრული ენა მაინც თავის ბუნებრივ კალაპოტში ვითარდება. ორატორი მიმართავს სათათბიროს ცენტრს, რათა მან რუსეთის ფარგლებში მცხოვრებ ხალხს ეროვნული მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილოს, თუ მართლაც ჰსურს, მასში სახელმწიფოებრივ მამულიშვილური გრძნობა გამოიწვიოს.

**ვოლკოვი მეორე.** ციმბირის ჯგუფს მინდობილობით აღნიშნავს, რომ პროექტი ციმბირს ახალს არაფერს აძლევს, რადგანაც ჯერ ერობაც არაა იქ შემოღებული და სკოლის ხელმძღვანელად ადმინისტრაციის მოხელენი არიან, ხოლო საზოგადოებას სასკოლო საქმეს ახლოს არ აკარებენ. ერობის შემოუღებლად ციმბირი ისევ სიბნელეში დარჩება, როგორც დღეს არის.

**ეპისკოპოსი მიტროფანე.** აღნიშნავს, რომ საერო სკოლა სცდილობს ეკლესიის გავლენა თავიდან აიცილოს და ამ გზით სკოლასა და ეკლესიას სრულებით აშორებს. სასულიერო წოდება მაინც სცდილობს ხელიდან არ გაუშვას სკოლის ხელმძღვანელობა. ნუ თუ ეს უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებაც მფარველობას არ გაუწევს სასულიერო უწყებას ამ საქმეში? სასულიერო წოდება სათათბიროსაგან გადაჭრილს პასუხს მოელის, რათა მან გაითვალისწინოს თავისი მდგომარეობა ღღევანდელ, ეგრედ წოდებულ, უფლებით-მოსილ რუსეთის სახელმწიფოში. (მარჯვნივ ტაშის ცემა)

**ფრიდმანი** ამბობს, რომ თუნდაც საყოველთაო სწავლის პროექტი სათათბირომ მიიღოს და განახორციელდეს, [illegible] პროექტი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს ყველა არა-რუსსა და ებრაელსაც. ებრაელებს პირველ ორ წელიწადსაც არ შეუძლიანთ სამშობლო ენაზე ასწავლონ თავის ბავშვებს, რადგანაც სკოლაში სამღვთო სჯულის მასწავლებელს ებრაული არ ეცოდინება. ეროვნული, კულტურული და ზნე-ჩვეულებათა მიდრეკილებანი მოითხოვენ, რომ სკოლაში სწავლა დედა ენაზე სწარმოებდეს. სასკოლო კომისიამ უსამართლობა ჩაიდინა, როდესაც ებრაულ ენაზე სწავლება მთლად გამოსტოვა პროექტიდან. ამის თაობაზე განსაკუთრებულ შესწორებას წარმოვადგენო. კანონ-პროექტი პოლონელთა მოთხოვნილებასაც ყურადღებას არ აქცევს, მაშინ როდესაც 1864 წლიდანვე მათ ამის უფლება ჰქონდათ. პირველ დაწყებით სკოლაში უცხო ენაზე სწავლება ყველა საგნების შესწავლას აფერხებს. პოლონელი ბავშვები ასეთს სკოლას სატუსაღოდ ჩასთვლიან. მასწავლებელნი-კი მოსისხლე მტრად.

**ბერეზოვსკი მეორეს** აკვირვებს კლიუჟევის მეცადინეობა, რომ მართლმადიდებელ სამღვდელოების გაშავებას ასე გულმოდგინედ სცდილობს. არა-რუსნი ასე როდი იქცევიან, თუმცა მათს სამღვდელოებასაც ბევრი ნაკლი ახლავს. თუმცა ერობის სკოლა სცდილობს სამღვთო სჯულის მეორე ხარისხოვანი ადგილი დაუთმოს, მაგრამ სკოლის გარედ, გლეხის შვილები სასულიერო შინაარსის წიგნებს უფრო ეტანებიან ხოლმე. კანონ-პროექტს იმდენი ნაკლი აქვს, რომ მის მიუღებლობით ჩვენ არას დავკარგავთო. (მარჯვნივ ტაშის ცემა.)

**მახმუდოვი** აღნიშნავს იმ მცირე ხარჯს, რასაც მთავრობა მუსულმანთა სკოლებს ახმარებს. თუ კი კანონ-პროექტი რუსეთის ხალხს კეთილ-დღეობას უქადის, დაე, ამ ნაყოფით მუსულმანებმაც თანაბრად ისარგებლონ, რადგანაც მუსულმანებსა ჰსურთ, რომ რუსეთის ნა-

ბუშრები კი არა, კანონიერი შვილნი იყვნენ. (მარცხნივ ტაშის ცემა).

მამა მანკოვსკი ამბობს: სათათბიროს დეპუტატთა ყველა სასულიერო პირმა უნდა იღიაროს, რომ სკოლა ბრწყინვალე მზის სხივებით უნდა იყოს გამთბარი, ხოლო ასეთს სხივებს მხოლოდ მართლ-მადიდებელი ეკლესია ანიჭებს, რომელიც მტკიცესა და გარდუვალ საძირკველზეა დამყარებული. (მარჯვნივ ტაშის ცემა).

**ჟუკოვსკი.** ეხება ალექსეევის მიერ მოყვანილ ცნობებს, რომელიც,—ორატორის აზრით—ფაქტიურად სწორე არაა და აკვიატებულის აზრითაა განმჭვალული. ჟულინსკის საქმის შესახებ მოჰყავს სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარის ლვოვის ოფიციალური წერილი და აცხადებს, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან რაიმე დევნაზე ლაპარაკისათვის ეს საქმე არავითარ საბუთს არ იძლევა. უფრო მაღალი ტრიბუნა კი—ტრიბუნა ეკლესიისა — უფრო ბინძურ სანელს ამზადებს, პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ კანონპროექტთა შექამანდისათვის. ხალხოსნურ-სარწმუნოებრივ ტალღათა ამოძრავების სურვილი, პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული, საპროგრამო კი ჯარა „საპოგრომო“ ხერხია. (მარცხნივ ტაშის ცემა. ამ დროს ალექსეევი შემოდის, მემარჯვენენი ტაშით ეგებებიან) ჟუკოვსკი ამბობს, რომ ალექსეევი უსაფუძვლოდ გადასწვდა გალიციაში რუსის ხალხის დევნას. ჩვენც ისეთი უფლებანი მოგვანიჭეთ, რითაც გალიციაში რუსის სკოლა სარგებლობს, და ჩვენ კმაყოფილნი დავრჩებით. ალექსეევი აქ რუსეთის 109 ეროვნებას ცბიერად იხუტებდა გულში. იმ პოლიტიკურ წყობილებას, რომლის ფალავანადაც დეპუტატი ალექსეევი გამოდის, არც გარეგანი და არც შინაგანი მიმზიდველი ძალა არ მოეპოვება. დეპუტატს ალექსეევს [illegible] ბობრინსკის არ შეეცილოს და ძველებურად ისევ პოლიტიკური მაძიებლობა განაგრძოს. პოლონელებს მხოლოდ იმაზედა სწყდებათ გული, რომ ამ სერიოზულ საკითხში იდეიურ მოპირდაპირესთან არ მოუხდათ ბრძოლა, არამედ დაკნინებულ პოლიტიკის ინტრიგანებთან და მდარე პოლიტიკურ ცილის—მწამებელთან (ძლიერი და ხანგრძლივი ტაშის ცემა ოპოზიციაში).

**პეტროვი მესამე.** შრომის ჯგუფის წინადადებას ემხრობა და თხოულობს, რომ ეს პროექტი ისევ კომისიას დაუბრუნონ, რათა მან მეორე სათათბიროში შრომის ჯგუფის მიერ წარდგენილ დებულებათა მიხედვით განიხილოს და შეამუშაოს.

**ფონ-ანრეპი.** ამ წინადადების წინააღმდეგია, რადგანაც კომისია პრაქტიკულს ნაყოფს ვეღარას შესძენს ამ პროექტსაო.

შრომის ჯგუფის წინადადება, უმრავლესობით უარყოფილია. წინადადებას მხოლოდ შრომის ჯგუფი და სოც-დემოკრატთა ერთი ნაწილი მიემხრო.

**ტიჩკინი.** სკოლების გაერთიანების მომხრეა. ხოლო ეს გაერთიანება გარეგანი კი არ უნდა იყოს, არამედ შინაგანი. სკოლა სარწმუნოებრივ-ზნეობრივს პრინციპებზე უნდა ემყარებოდეს, რუსის ხალხის იდეალის შეფარდებით. იგი უნდა განამტკიცებდეს რუსეთისა და რუსულის ენის სიყვარულით. ამისათვის ორატორი წინააღმდეგია საეკლესიო სკოლის ავტონომიის მოსპობისა, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში, სადაც ასეთ სკოლის არსებობას რუსეთის ხალხის ინტერესები მოითხოვსო.

**ალექსეევი** ჟუკოვსკის უპასუხებს და ამბობს: ჟუკოვსკიმ განაცხადა, ვითომც ჟულინის საქმე სარწმუნოებრივს ნიადაგზე არ მომხდარიყოს. მაშ, რა სარჩული ედო ამ საქმეს, ან მასწავლებელი და მისი მეუღლე ციხეში რათა სხედან? სირცხვილი არ არის პოლონელებისათვის, რომ ჯერ გაუციებელ სამარის წინ, ამას ამბობენ ისინი ხომ კარგად იცნობენ დავიწყებულსა და დაჩაგრულს გალიციის რუსეთს! დროა პოლონელებმა ისწავლონ პოლიტიკურ მოპირდაპირესთან რიგიანი კამათი და ორ-პირობან იანუსობას თავი დაანებონ, რადგანაც ერთს, აქ, პეტერბურგში პოლონეთის სამეფოში. (მარჯვნივ ტაშის ცემა. კრება საღამოს 9 საათამდე შესწყდა).

საღამოს სხდომაზე **შიდლოვსკი** თავმჯდომარეობს. გზათა მინისტრი განმარტავს 1907 წ. დაკვეთილ რელსებისა და გადაბმელ ჭახრაკების საქმეს. სულ 5.200,000 მანეთის მასალა შეუკვეთნიათ.

**ნეკრასოვი** მინისტრთა საბჭოს ჟურნალიდან ამონაწერს ჰკითხულობს ამ საქმის თაობაზე.

**ზამისლოვსკი** ადგილიდან: საიდან მოგიპარავთ?

**ნეკრასოვი** ამ ჟურნალის პირი ერთმა პიროვნებამ გადმომცა (ხმაურობა, მარჯვნივ სიცილი) ორატორი ამბობს: საჭირო არ იყო ამ შეკვეთის დადასტურება პირდაპირ მინისტრთა საბჭოსაგან მომხდარიყო, მით უმეტეს, რომ საკანონმდებლო გზით შეიძლებოდა ამისი მოგვარება. ეხლა, 1910 წ ამგვარივე შეკვეთა სათათბიროს წარმოუდგინეს განსახილველად. შეკითხვის მეთაურთ მხოლოდ ის ჰსურდათ, რომ მთავრობის მეხსიერებაში აღენიშნათ ეს გაუგებრობა. (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

**ეგოროვი.** მთავრობა მუდამ არღვევდა და დაარღვევს კიდეც კანონიერებას, როდესაც ეს მისთვის ხელსაყრელია. ამ სახით მთავრობასა სურს დაგვიმტკიცოს, რომ უსათათბიროდაც ჩინებულად გავსძლებთ. კანონიერების ასეთი ფეხქვეშ გათელვა იმ დრომდე გაგრძელდება, სანამ სათათბიროში ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი არ შეიკრიბებიან,—წარმომადგენელნი პროლეტარიატისა (მარცხნივ ტაშს უკრავენ, მარჯვნივ იცინიან).

**სუშკოვი** აცხადებს, რომ მხოლოდ ფორმული მხარეა დარღვეული და ისიც საქმის სასარგებლოდ. ამისათვის ასეთი შეკითხვები დროს უბრალოდ გვაკარგვინებსო.

**მომხსენებელი პილიპენკო** აღნიშნავს, რომ მთავრობის დღევანდელი განმარტება სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რაც ამ საქმის თაობაზე მინისტრის საბჭომ აღიარა, რომელმაც აშკარად განაცხადა, რომ იგი დებულების 92 მუხლს პირდაპირ არღვევს. სათათბირო ასეთ საქციელს ვერ მოუწონებს უმაღლეს სამმართველო დაწესებულებას. მომხსენებელი კომისიის აზრს იცავს და მორიგ საქმეებზე გადასვლას თხოულობს.

შესვენების შემდეგ შესაფერი რეზოლუცია გამოაქვთ და მორიგ საქ...

**თავ. კურაკინი.** იუსტიციის მინისტრისს შეკითხვაზე კომისიის აზრს ადგენს, ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარის ზლოდოვსკისა და გამომძიებელ ლიჟინის უკანონო მოქმედების თაობაზე. კომისია ამ საქმის გამო იმ აზრისაა, რომ მინისტრის შეკითხვა უყურადღებოდ დასტოვონ.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

## სახელმწიფო საბჭო

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს. მისალოც დეპეშების საპასუხოდ გამოგზავნილს მეფის დეპეშას კითხულობენ.

მორიგ საკითხად ავტორთა უფლების კანონ-პროექტია.

მომხსენებელი **გრიმმი** განმარტავს სათათბიროს კანონ-პროექტში კომისიის მიერ შეტანილ ცვლილებათ.

**კრესტოვნიკოვი** აღნიშნავს, რომ ჩრდილო-ამერიკისა, გერმანიისა და დანიის კანონმდებლობა ფართო მფარველობას უწევს გამომცემლობის საქმეს, და ამბობს, რომ კანონ-პროექტი მავნე გავლენას იქონიებს რუსეთზე. კანონ-პროექტი თარგმანის თავისუფლებასა ჰკრძალავს, რაც დასცემს რუსეთის გამომცემელთა საქმეს და მასთან დაკავშირებულ წარმოებას დარგებს. გარდა ამისა, კანონ-პროექტი უცხოეთისა და რუსეთის ავტორებს შორის არავითარ განსხვავებას არ აღნიშნავს. უცხოეთის ავტორთა უფლებანი უკონვენციოდაც უზრუნველყოფილია, ხოლო თუ რუსეთიც კონვენციას დასდებს, ვერავითარ უფლებას ვერ შეიძენს და უცხოელნი არც თუ რასმე დაგვითმობენ ამ საქმეში.

საკითხის ასეთი დაყენება არც პატრიოტულია და არც სწორე. პროექტის ოთხი პირველი მუხლი უკამათოდ მიიღეს. კრესტოვნიკოვის აზრით მეორე მუხლის მეოთხე სტატია რომელიც უცხოეთში გამოცემულ წიგნებს ეხება, უნდა გამოიტოვოს. **დურნოვო** წინადადებას აძლევს ეს საკითხი კომისიას გადაეცეს განსახილველად, რათა საზღვარგარედ მყოფ რუსის ქვეშევრდომ ავტორთა უფლების დასაცავად წესები შეიმუშაოს.

**გრიმმი** ამისი წინააღმდეგია.

**დურნოვოს** წინადადება მიღებულია.

შემდეგი სხდომა 29 ოქტომბერს მოხდება.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან
28 ოქტომბერი.

### საზღვარ-გარედ

**თეირანი.** მინისტრთა კაბინეტმა შირვანში საალყო წესები შემოიღო. კავშამულ მულკისა და სოუ-[illegible] ლა ფარსში წესიერება აღადგინონ შირვანში, ებრაელების აკლების საქმე გამოიძიონ და დამნაშავენი დასაჯონო.

**სტამბოლი.** სესხის საქმე მოწესრიგდა.

**ბერლინი.** 1911 წ. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი: ჩვეულებრივი შემოსავალ-გასავალია 2,707,819,913 მარკა. საკანვებო შემოსავალი—119,369,887 მარკა; გასავალი—217,125,917 მარკ. დეფიციტი—97,755,930 მარკას სესხით დაჰფარავენ. მიმდინარე წელს დეფიციტი 172 მილიონს უდრიდა. გარეშე საქმეთა სამინისტროს საიდუმლო ფონდს 300 ათასი მარკა წაუმატეს. საპარლამენტოთაშორისო კავშირისათვის წელს პირველად გადაიდო 5,000 მარკა. სამხედრო ხარჯისათვის ერთ დროებით 73 მილიონი და მუდმივად 710 მილიონი მარკა. საზღვაო უწყებისათვის ჩვეულებრივი გასავალი 167 მილიონი მარკა, ერთ დროებითი 174 მილიონი მარკა, საგანგებოდ—109 მილ. მარკა. იმპერატორ ვილჰელმის არხისათვის 48 მილ. მარკა.

**ლონდონი.** უელსის მიდამოებში გაფიცვა საგონებელში აგდებს მთავრობას. სწრაფის მატარებლით გაიგზავნა 200 ქვეითა ჯარის კაცი, გუსართა პოლკი და 300 ლონდონელი პოლისმენი.

ბევრი შენობები დაანგრიეს. ურიცხვი პოლიციელია დაჭრილი.

**ლივერპული.** მეეტლეთა გაფიცვა დასრულდა.

**ტოკიო.** 26 იაპონელი სასამართლომ დამნაშავედ იცნო, მეფის მოკვლის განზრახვაში. დამნაშავეთ სიკვდილით დასჯიან.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობებით ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის ფინანსიურ წრეებს ლონდონში თათბირი აქვთ, ამერიკელთა წინადადებაზე, რომლითაც ამერიკელები ჩინეთის სესხისათვის 10,000,000 გირვანქა სტერლინგსა ჰპირდებიან.

**ლონდონი.** ემერგრადში 3000 გაფიცული შეეცადა, გემთა საამშენებლო სადგური ჩაეგდო ხელში, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა. მუშებმა ქვები დაუშინეს, პოლიციელები კეტებით დაერივნენ და გაფანტეს. 60 გაფიცულთაგანი მძიმედ დაიჭრა, ბევრი, და მათ შორის დედაკაცებიც, ემერგდარის არხში გადაჰყარეს; ვინც ცურვა იცოდა გადარჩა.

**სოფია.** ეროვნულ კრების მოწვევის გამო მალინოვმა განაცხადა, რომ ეროვნულ კრებას რევიზიის ხასიათი არ ექნება: იგი განიხილავს მხოლოდ ბულგარიის მდგომარეობის შესაფერად კონსტიტუციის დედანს.

**კარდიფი.** ჯარი მოვიდა. კლენდენდალში უწესოებამ იჩინა თავი. ტონიპანდისა და აბერომანშიც არეულობაა, სადაც გაძარცვეს სახლები და ჩაამტვრიეს ფანჯრები. ზარალი დიდია. გაფიცულთა და პოლიციელთა შორის შეტაკება მოხდა. ორსავე მხარეს ბევრია დაჭრილი. არეულობის გამო ტონიპანდიში კავალერია მოვიდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა წერილებით მიჰმართა სამთამადნო მუშებს, კვლავ მიგიღებთ, თუ გაფიცვას მოსპობთო

**ნიუ-იორკი.** 26 ოქტომბერს დაწყებულს არჩევნების დროს ზოგს შტატებში დემოკრატებმა კონგრესში 37 ახალი ადგილი იშოვეს, ამიტომ წარმომადგენელთა პალატაში ისინი აუცილებლად უმრავლესობას შეადგენენ. რუზველტის პარტიის კანდიდატები ყველგან დამარცხდნენ.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის კრება. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის დროს კამათის საგნად გახდა ავსტრია-იტალიის დამოკიდებულება. ორატორების უმრავლესობის აზრით, იტალიის პრესსა და ხალხს ავსტრო-უნგრეთი ეჯავრება და ტყუილად ჰსურს ავსტრო-უნგრეთს იტალიისთან პატიოსნური მეზობლობაო.

**ლიმა** (პერუ). ჩიკლიახოს პროვინციაში რევოლუციამ იფეთქა. მთავრობამ ჯარი გაგზავნა.

**კოპენჰაგენი.** გრენლანდიის გამომკვლევ რასმუსენისგან, რომელიც კაპიორკეშიიმყოფება, ცნობა მოვიდა, რომლითაც ირწმუნება, რომ კუკმა ჩრდილოეთის პოლიუსს ვერ მიაღწიაო. პირის შესახებ მისი თანამგზავრნი ამბობენ, რომ მან ჩრდილოეთის პოლიუს მიაღწია და გამოკვლევანი მოახდინაო. მხე, პირის გამოკვლევით, დღისითაც და ღამითაც ერთს ალაგს იყო ცაზე და არც ჩადიოდა, არც ამოდიოდა. პირს თან ოთხი კაცი ჰყავდა და იმავ დღეს ისე დაბრუნდა უკან, რომ არსად არ შეუსვენია. მას დიდი მხიარულება არ ეტყობოდა. მხიარულია მხოლოდ მაშინ, როცა გემში ჩაჯდა.

**ლონდონი.** რეიტერს ატყობინებენ თეირანიდან, რომ ინგლისელთა რაზმი, რომელიც ლინგოში ჩამოჰხტა, უკანვე გაიწვიეს, რადგან უცხოელთა შიში აღარ მოელითო.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** 27 ოქტომბერს ღამით უეცრად გარდაიცვალა რუსეთის დესპანი ლისაბონში—კუიანდერი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნო განსახილველად წარედგინოს საკანონმდებლო დაწესებულებათ პროექტები: ღვინის შე-

## ევროპის სახელმწიფოთა შორის

1. საფრანგეთის პალატის შემოდგომისსესსია. 2. საბერძნეთის ნაციონალურ კრების დახურვა. 3. ინგლისის ნოტა. 4. ელზას-ლოტრენისკონსტიტუცია.

12 ოქტომბერს გაიხსნა პარლამენტის შემოდგომის სესია. სამუშაო პროგრამა არც თუ რთულია. სხდომების უმეტესი ნაწილი უნდა ბიუჯეტის გარჩევას მოახმარონ, დანარჩენ დროს სხვა და სხვა ინტერპელაციებზედ პასუხების მიცემას მოანდომებენ. ამათი რიცხვი ეხლავე ოცდა ათამდის ადის.

ამ გვარად რადიკალურ უმრავლესობის მიერ დაპირებულ სოციალისტურ რეფორმათა საკითხების დაყენებას ვერ მოასწრებენ. თუმცა საფრანგეთის რადიკალურ ბურჟუაზიის ტაქტიკა მუდამ ასეთია. ის ენერგიულია მხოლოდ მესამე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ განმტკიცების საკითხში, და ორგანიულად ვერ ითვისებს, ეზიზღება ყველა ის საკითხი, რაც მის სოციალ-პოლიტიკურ დედა-აზრის გარეშე სდგას თავისის ხასიათით. სოციალურ რეფორმებისკენ ის ძალიან მიდის, ისიც მხოლოდ შინაურ კონფლიქტების ზეგავლენით. და რადიკალურ პროგრამებისა და თვით მთავრობის წევრთა „რეფორმისტულ სოციალიზმის“ მიუხედავად, საფრანგეთი მაინც უკან მისდევს სოციალურ კანონმდებლობაში ევროპის სხვა სახელმწიფოებს.

რასაკვირველია, პირველი სხდომები საფრანგეთის პალატამ ეხლახან დამთავრებულს რკინის გზათა გაფიცვას მოანდომა. ეს გაფიცვა ბრიანის კაბინეტის მხსნელი იყო. რუანის რადიკალურ კონგრესზედ ბრიანი მორალურად სასტიკად დამარცხდა და მხოლოდ ტაქტიკურის მოსაზრებით არ გამოუტანეს მას უნდობლობის ვოტუმი. მაგრამ რადიკალების მარცხენა მხარემ, რომელსაც წინამძღვრობს იმასთან პოლიტიკური სახელები, როგორიცაა ვალდეკ-რუსსო, კომბი, ბურჟუა, პელტანი. ბერტო, ვალლე, სტეგი, იმდენად საშიში პოზიცია დაიჭირა „სოციალისტ“ პრემიერის წინააღმდეგ, რომ სამინისტროს კრიზისი უკვე აუცილებელი იყო.

მოულოდნელად იფეთქა გაფიცვამ და ამ პოლიტიკურ ბრძოლის აქტმა საქმის მდგომარეობა შესცვალა. სოციალურ კატასტროფის მოლოდინე საფრანგეთის მშვიდობიანი რანტიე, რომლიდანაც გამოდიან მომეტებულად რადიკალურ პარტიის წევრნი, შეშინდა, რასაც ხელს უწყობდა პარიზის პრეფექტი ლეპინიც და საქმის ვითარების განგებ ცუდად უჩვენებდა. ბურჟუაზიულ მასის ფსიხოლოგია ამ გვარ წამებში უფრთხის ყოველგვარ ახალს, თუნდ ეს მინისტრის გამოცვლაც იყოს, რადგან მასშიაც-კი რაღაც ახალი და გამოუცნობი რამე იფარება. რკინის გზათა გაფიცვამ საფრანგეთის ბურჟუაზიული კლასები სოციალურ კონსერვატიზმისკენ გასწია. ბრიანს მიანდეს „რესპუბლიკის ხსნა“ და იმანაც არ გაამტყუნა მათი იმედი. დეპუტატთა პალატის სხდომებმა რკინის გზების გაფიცვის შესახებ, უკვე გაიარა. ბრიანი გამარჯვებული გამოვიდა და დიდმა უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა. გაფიცვამ იხსნა ბრიანი, მაგრამ ამ ყვარი პოლიტიკურ-სოციალურის შიშით, პოლიტიკურ მოტყუების ფასით მიღებული ხსნა მოკლე ხნიანია; საფრანგეთის გაფიცვას ლიკვიდაცია სულ სხვა გზით უნდოდა. თავისს საპასუხო სიტყვაში ტყუილად სცდილობდა ბრიანი დაემტკიცებინა ნახმარ ზომების კანონიერება; სთქვა, რომ რკინის გზათა გაფიცვა შეუწყნარებელიაო. ამასთან შეთანხმებით მისმა ამხანაგმა მინისტრმა, ყოფილმა სოციალისტმა, მილერანმა შეიმუშავა პროექტი სამედიატორო სასამართლოსი რკინის გზათა მმართველობისა და მოსამსახურეთა შორის უთანხმოების გასარჩევად. მაგრამ ამავე პროექტში სხვა მინისტრების გავლენით, შეტანილია მუხლებიც, რომლებიც სისხლის სამართალს უქადის რკინის გზათა გაფიცვების მომწყობთ და მასში მონაწილეობის მიმღებთ.

ეს პროექტი პირველი პასუხია სახელმწიფოსი რკინის გზის მოსამსახურეთა მოძრაობაზედ, მაგრამ მასში დადებული საფუძველი ეხება ყველა მუშების არსებით საკითხებს და წინააღმდეგია იმ სინდიკალურ უფლებათა, რომელნიც საფრანგეთის მუშათა ცხოვრების ძვალსა და რბილშია გამჯდარი. ძნელი და უსაფუძვლოა დამშვიდების მოლოდინი. ძნელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პროექტი ფაქტიურად ახალი გამოწვევაა უკვე სამუშაოდ დამდგარ რკინის გზათა მოსამსახურეთა, ის ალელვებს აგრეთვე თავისის იურიდიულ უსამართლობით და საფრანგეთის მოქალაქეთა უფლებათ ჰკვეცავს, ართმევს მას გაფიცვითა თავისუფლებას, რესპუბლიკის მიერ მიღებულ თავისუფალს ბრძოლის კაპიტალთან. ეს საშიში თამაშია და ბრიანს იგი საფრთხეს უგებს. ამ პროექტის გამო შრომის მინისტრმა ვივიანმა თავი დაანება მინისტრობას. ამ გვარად ბრიანის გამარჯვებაში იმალება მომავალ დამარცხების თესლებიც, რასაც ჩვენ უნდა ჩქარა მოველოდეთ.

—

ამ დღეებშივე პატარა საბერძნეთშიაც დიდი ამბები მოხდა: პრემიერმა ვენიზელოსმა, მეფე გიორგის მიერ წინადვე მიცემულ თანხმობით, დაითხოვა საბერძნეთის ნაციონალური კრება. ეს მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ ახალმა კაბინეტმა ნდობის საკითხზედ 208 ხმა მიიღო 31 წინააღმდეგ, და მაშასადამე სრული იმედი იყო კაბინეტის ნაციონალურ კრებასთან საერთო თანხმობით მუშაობისა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველის შეხედვით გვეჩვენება. ვენიზელოსის მიერ შემუშავებული და მეფის მიერ მოწონებული პროგრამა არსებითად ვერ აკმაყოფილებდა იმ პარტიებს, რომელთაგანაც შესდგებოდა უმრავლესობა. ვენიზელოსი დიდი წინააღმდეგი იყო ნაციონალურ კრების დამფუძნებელ კრებად გარდაქმნისა და ამით თავისს წინააღმდეგ აამხედრა კრების მარცხენა მხარე (რადიკალური და სოციალისტები), რომელსაც უნდოდა კონსტიტუციის გადაშინჯვით შეემცირებინა სასახლის გავლენა საბერძნეთის სახელმწიფო საქმეებზედ. მემარცხენეებთან ერთად თესალიელ გლეხთა ჯგუფიც (45 ხმა) მოქმედობდა, რომელიც მსხვილ მიწად-მფლობელობას ებრძოდა. პოლიტიკური მოთხოვნილებანი ამ ჯგუფისა ზომიერია, მაგრამ მისი აგრარულ მისწრაფებათა ხასიათი არსებული წესრიგის წინააღმდეგ აყენებდა მას, ასვამდა რევოლუციონერობის ბეჭედს და ამზადებდა დამფუძნებელ კრების მომხრეებს. დარჩა ცენტრის გარდა, რომელიც ვენიზელოსს ემხრობოდა, ტრადიციული პარტია თეოთოკისისა და რაიმისა, რომლისთვისაც ვენიზელოსის კაბინეტი სრულებით არა სასურველი და პოწინააღმდეგე იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვენიზელოსი იმათ მმართველობის საჭედან გასდევნიდა და ბევრი სარგებლობა მოაკლდებოდათ; მეორე იმიტომ, რომ თავისის პროგრამით — სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგების რეფორმისა—ის იმუქრებოდა სრულიად მოესპო ქრთამები და ნეპოტიზმი, რაც ძველის ჩვეულების სულსა და გულს შეადგენდა სახელმწიფო საქმეებში. მაშასადამე, პირველ ვოტუმის დროს ვენიზელოსის მიერ მიღებული უმრავლესობა იყო და ჩქარაც უნდა დაშლილიყო. და მართლაც, ეს უმრავლესობა შესდგა წინადვე შეთანხმებით და მიზნადა ჰქონდა ახალის კაბინეტისთვის გამოენახა დაბრკოლებათა რიგი იმისდა მიხედვით, თუ ის უფრო და უფრო ჩაებმოდა საქმეში და ამ გვარად დაეყენებინათ იგი კრების დამოკიდებულების ქვეშ.

ახალის კაბინეტის მოულოდნელმა გამოსვლამ აჩვენა, რომ ვენიზელოსი დახელოვნებული და გამბედავი მოწინააღმდეგეა ძველის პარტიებისა, და არა მარტო ძველის პარტიებისა: დახურა თუ არა ნაციონალური კრება, ვენიზელოსმა ერთსა-და იმავე დროს გაცაჰკრა ორსავე მხარეს—მარცხნივაცა და მარჯვნივაც, რევოლუციასაცა და მესტავრაციასაც. მეფის დეკრეტით არჩევნები ახალ პალატაში დანიშნულია 15 ნოემბერს, სესსიის გახსნა კი მოხდება 8 იანვარს. დრო საკმარისია, რომ მისს განმავლობაში ვენიზელოსმა არამც თუ მოამზადოს თავისი არჩევნები, არამედ ზომებიც მიიღოს თესალიელ გლეხთა დასაწყნარებლად და დასამშვიდებლად. ის ნდობა, რომელსაც მეფე და მისი ერთგული ჯარი უცხადებს ახალ კაბინეტს, ნებას აძლევს მის მტკიცედ იდგეს თავისი მიზნების მიღწევაში თუ რომელიმე დეპუტატი არ მოისურვებს ნაციო-

სახების კანონისა, ზოგიერთ ნავთიან ადგილების იჯარით გადაცემისა და ოფიცერთა ქვრივებისთვის დამატებით პენსიის დანიშვნისა.

# ახალი ამბები

## ტფილისი

**ილიას საღამოს შემოსავალი.** 27 ოქტომბერს ილიას დაბადების დღის აღსანიშნავად ქართულს თეატრში გამართულ საღამოს მთელი შემოსავალი 600 მანეთამდე იყო. საღამოს წმინდა შემოსავალი ილიას სახელობის ფონდს მიემატება.

**ქართული კლუბი.** ტფილისში განზრახულ ქართულ კლუბის ბედი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. კლუბის ახალი მამასახლისნი ხელფეხ შეკრულნი არიან და ჯერ საქმეს ვერ შესდგომიან, რადგან თავად აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს ჯერ მათთვის პასუხი არ მიუცია მამასახლისთა მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე თავად აზნაურთა ქარვასლაში კლუბისთვის შენობის დათმობის შესახებ. საკრებულო პასუხს ამ დღეებში მისცემს და თუ ეს პასუხი დამაკმაყოფილებელი იქმნება, მაშინ მამასახლისთ აზრად აქვთ ერთის კვირის განმავლობაში კლუბი მთლად მოაწყონ. მამასახლისებს გადაუწყვეტიათ, აგრეთვე, კლუბში მოსიარულეთათვის ბევრი ისეთი სავალდებულო წესი შემოიღონ, რომ კლუბი უბრალოდ დროს გატარების ადგილად კი არ გადაიქცეს, არამედ მხოლოდ ემსახუროს იმ მიზანს, რომელიც აზრად ჰქონდათ მის დამაარსებელთ.

**კავკასიის უნივერსიტეტი.** ძმათა მირზოევების სანავთო ამხანაგობამ 25,000 მანეთი გადასდო კავკასიის უნივერსიტეტის მოსაწყობად, იმ პირობით კი, რომ უნივერსიტეტის მოწყობას შეუდგნენ არა უგვიანეს 5 წლისა.

**ტფ. ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს ოთხის კომისიის წევრთა შეერთებული კრება.** როგორც ვსწერდით, დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს საფინანსო, სატეხნიკო, იურიდიულ და ტრამვაის გამგე კომისიების წევრთა შეერთებული კრება ტრამვაის საზოგადოების რწმუნებულის ფაინის წინადადების განსახილველად ტრამვაის კონცესიის ვადის გაგრძელების შესახებ. რადგან ეს საკითხი დიდად საყურადღებოა, ქალაქის გამგეობამ კრებაზე მოიწვია საბჭოს ყველა ხმოსანი. კრებაზე დასწრება შეუძლიანთ აგრეთვე პრესის წარმომადგენელთაც.

**კახეთის რკინის გზა.** როგორც მკითხველთ იციან, კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე საბოლოოდ გადასწყდა და კონცესია ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობას მიენიჭა. ამ ჟამად დეპუტატთა საკრებულოს დავალებული აქვს საბოლოოდ გაანაღდოს ეს კონცესია, რისთვისაც იგი პეტერბურგს სამს თავის რწმუნებულს ჰგზავნის. რწმუნებულებად არჩეულნი არიან თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და პ. ი. თუმანიშვილი, რომელნიც ამ დღეებში პეტერბურგს გაემგზავრებიან.

**სამეურნეო კურსები.** მიწად მოქმედების დეპარტამენტს განუზრახავს სამეურნეო კურსები მოაწყოს კავკასიის გლეხთათვის. ამის გამო დეპარტამენტი უკვე შეუდგა ცნობების შეკრებას იმის შესახებ, თუ კავკასიის რომელს ადგილში უფრო საჭიროა ამ კურსების გახსნა, და მისი მოწყობა რა დაჯდება.

**ბებია-ქალები სვანეთში.** 30 ოქტომბერს ნამესტნიკის საბჭოს სხვათა შორის, განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნეს ფული ოლგას საბებიო ინსტიტუტში იმ ბებია—ქალების აღსაზრდელად, რომელნიც სვანეთში გაიგზავნებიან.

**თავისუფალი სტიპენდიები.** ტფ. პირველ დედათა გიმნაზიაში 5 საქალაქო სტიპენდია განთავისუფლდა.

**კ. მესხის იუბილე.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, 21 დეკემბერს ნიჭიერ არტისტის კოტე მესხის 30 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაიხადოს. იუბილეს პროგრამის შესადგენად საგანგებო კომისია იქმნება არჩეული.

**კავკასიის მფრინავთა ჯგუფში.** ამ დღეებში კავკასიის მფრინავთა ჯგუფს ავიატორების ქებუროვისა და ვასილიევის თანადასწრებით კრება ჰქონდა, რომელზედაც გადასწყვიტა, მოკლე ხანში ტფილისში ავიაციის სკოლა მოაწყოს და თითო მოსწავლეს სწავლის ფულად გადახდეს 1.000 მანეთი. ჯგუფი ამ დღეებში გადასწყვეტს იმ საგანს, თუ სად მოაწყოს ეს სკოლა. ვერაზე მოწყობილი აეროდრომი ქებუროვმა და ვასილიევმა ავიაციის სკოლისთვის უვარგისად სცნეს.

**ფრენა.** 30 და 31 ოქტომბერს დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა გაიმართება. გაფრინდებიან ქებუროვი და ვასილიევი.

**ქართული სკოლა სოხუმში.** მოკლე ხანში, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების თაოსნობით, სოხუმში ქართული სკოლა გაიხსნება. სკოლის შენობისთვის საჭირო ადგილი ქალაქს დაუთმია. სკოლის მოწყობა 20,000 მანეთამდე დაჯდება.

**საჩივარი.** ქართულის თეატრის კასირად ნამყოფმა თავ. გ. დ. ერისთავმა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაზე მეორე სამომრიგებლო განყოფილებაში საჩივარი შეიტანა. უჩივის 1000 მანეთს, რომელიც თავ. ერისთავს კასირად შესვლის წინად გამგეობისთვის ბედ წარუდგენია. თავ. ერისთავი საჩივარში ამბობს, სამსახურის ვადა გამივიდა, ანგარიშები სრულად ჩავაბარე და გამგეობა ნებით არ მიბრუნებს ჩემს ფულსაო. იგი გამგეობას უჩივის აგრეთვე 1.400 მანეთს, რომელიც გამგეობისათვის უსესხებია. ამიტომ სთხოვს მოსამართლეს, გამგეობის თავჯდომარეს გადაახდევინოს მის სასარგებლოდ 2,400 მანეთი თავის სარგებლით.

**ხოლერა ამიერ კავკასიაში.** ბათუმის ოლქში: 7-დან 14 ოქტომბრამდე ხოლერით ავად არავინ გამხდარა; ქუთაისის გუბერნიაში: 24 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე ავად გახდა—2, გარდაიცვალა—2.

რუსულ გაზეთ „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეს“ მეორე რედაქტორად ტფილისის გუბერნატორმა ა. ი. უანხედი დაამტკიცა.

ტფ. პოლიციამ ცნობა მიიღო, ტფილისში ჩამოვიდნენ „ცოცხალ საქონლით“ მოვაჭრენი, გაჩერდნენ „სემეინიე ნომრებში“ და წასვლისას თან წაიყვანეს ახალგაზრდა ქალი, ვითომ და მოსამსახურედ, ნამდვილად კი გასასყიდად. პოლიციამ რკინის გზის სადგურზე დაუყოვნებლივ საპოლიციო უბნის ზედამხედველი გაგზავნა. სადგურზე პოლიციელმა მართლაც ნახა ეს მოვაჭრენი. ისინი აღმოჩნდნენ ორენბურგის გუბერნიისა და მაზრის სოფელ ფედროვკას მცხოვრები ევდოკია ანდრიას ასული პავლოვისა, რომელმაც განაცხადა, ნუხაში სასტუმრო ნომრები მაქვსო და განჯის მცხოვრები ალასკარ-ზეინალ-ოღლი, რომელმაც განაცხადა, განჯაში საკუთარი სახლები მაქვსო. თან იყო ახალგაზრდა ქალი 18 წლისა, ქუთაისის მაზრის სოფელ ზოვრეთის მცხოვრები მატისა დიმიტრის ასული გოგუაძე. უკანასკნელმა სთქვა: ამ პირებმა ცოლ ქმარად გამაცნეს თავი, მოსამსახურედ დამიჭირეს და ნუხაში მივყავდიო. გამოირკვა რომ პავლოვის ქალსა და ალასკარ-ზეინალ-ოღლის მეძავ ქალთა სავაჭროს პატრონისთვის უნდა მიეყიდნათ და ბილეთი ევდახამდე აეღოთ მისთვის. გამოირკვა აგრეთვე, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიუღია „სემეინიე ნომრების“ დიქეის ხანის მცხოვრებს ვლადიმერ ეფრემის-ძე ტობაძეს, რომელსაც მოუწონავს ახალგაზრდა ქალი და დაუჯერებია გამყოლად მოსამსახურედ ამ ვითომდა ცოლ-ქმარს, ყველა დამნაშავენი დააპატიმრეს.

27 ოქტომბერს, თავის მოკვლის განზრახვით, ტფილისში საწამლავი დალია ნატო სვიმონის ასულმა ოსიპოვისამ. იგი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც სიკვდილს გადაარჩინეს.

27 ოქტომბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 28 უპასპორტო.

---

ნალურ კრების დარბაზის დატოვებას, მას ადვილად შეუძლიან დატუსაღებასაც—კი მიჰმართოს. უკმაყოფილო პროვინციებისა და ხარჯის არ-მძლეველ თესსალიელ გლეხთა წინააღმდეგ კიდევ შეიძლება გაგზავნილ იქმნას დამსჯელი ექსპედიციები.

—

ინგლისის მთავრობა ჩქარობს აღმოფხვრას ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც იქონია ევროპას საზოგადოებაზედ მისმა უკანასკნელმა სპარსულმა ნოტამ. ლიბერალურ „დაილი ნევსში“ ნათლად არის გამოთქმული მწუხარება გარეშე საქმეთა სამინისტროს ამ ნაბიჯის შესახებ და ნოტას მეგობრულ რჩევის ხასიათს აძლევენ, და არა ულტიმატუმ მოთხოვნილებისას. ამავე დროს დამტკიცებით ამბობენ, რომ ინგლისმა თანხმობა გამოუცხადა სპარსეთის ახალ 12 მილიონ მან. სესხის რეალიზაციისა. ეს ფული სპარსეთს სჭირდება მხოლოდ შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად.

ეს ახალი რყევა ინგლისურის კურსისა სპარსეთში ევროპიულ პრესსას არ კამოეპარა და უფლება მისცა მას დამტკიცებით ეთქვა, რომ ახლო მომავალში ინგლისის საგარეო პოლიტიკა სრულიად სხვა სახესა და მიმართულებას მიიღებსო, რასაკვირველია, საფრანგეთისა და ინგლისის მეგობრულ განწყობილების დარღვევა შეუძლებელია. მაშ საითკენ, ვის მიუშვერს ზურგს ბრიტანიის ლომი?

—

გერმანულ გაზეთების ცნობით ელზას—ლორენის კონსტიტუციის პროექტი უკვე შემუშავებულია და ამ დღეებში გადაეცემა კავშირის საბჭოს. ამ ჟამად ელზას-ლორენის სატახტო ქალაქ სტრასბურგში გერმანიის კათოლიკურ ცენტრის კრებაა, რომელმაც დაადგინა, რომ ელზასსა და ლორენში შემოღებულ იქმნას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრა, რომ საარჩევნო ოლქები კანონიერ რიგზედ იყოს განაწილებული და რომ ეს პროვინციები აიყვანონ გერმანიის თანასწორ სახელმწიფოს ხარისხზედ.

ამ გვარი რეზოლუცია არაფერს საკვირველს არ წარმოადგენს, თუმცა ის გერმანიის ერთის ურეაქციონერეს პარტიისაგან არის მიღებული. გერმანიამ უკვე მიაღწია პოლიტიკურ განვითარების იმ ხარისხს, როცა თავისუფალ სახელმწიფო წესრიგის ძირითად საფუძვლების გაგება ყველას განუყრელ ორგანიულ ნაწილად ხდება, თვით პოლიტიკური აზროვნებით უკან ჩამორჩენილთათვისაც. ამასთანავე კათოლიკური ცენტრი თავისის სოციალურის შემადგენლობით ფართო დემოკრატიული პარტიაა, რაც მას ძალა უნებურად აიძულებს დემოკრატიულ მოთხოვნილებათ შესაფერი ანგარიში გაუწიოს. ბოლოს, —არც თუ აგრე შორს არის მორიგი საიმპერიო არჩევნები, სადაც გამოსვლა არც აგრე ადვილია; ელზას—ლორენი კი კათოლიკური მხარეა და შეუძლიან ხმების დიდი იმედი მისცეს, როგორც საიმპერიო, ისე პროვინციულს პარლამენტებში.

**გ. ნამორაძე.**

# ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

## პეტერბურგი

**ღია წერილი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიმართ.**

იობის მოთმინებასაც აქვს საზღვარი და, რადგანაც ჩვენი მოთმინების საწყაულიც აღივსო, ამ წერილით მოგმართავთ თქვენ, თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს.

რა თქმა უნდა გეხსომებათ, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის უმაღლესად ნაბოძებ ოც ათას მანეთიდან ათი ათასი გადასდევით 1907 წლის იანვრიდან სტიპენდიებისათვის. ამ წლიდან იწყება ის გულის ამაზრზენი და, მეტი რომ არა ვსთქვათ, ულმაზო საქციელი იმ პირთა, ვისაც თქვენგან მინდობილი ჰქონდათ თავის დროზე ეგზავნათ სტიპენდიები დანიშნულებისამებრ. ჩვენ ხმა არ ამოგვიღია გამოგზავნის ზოგიერთ უხერხულ პირობებზე, რადგანაც ეგ თქვენს საერთო კრებაზე იყო დადგენილი და ჩვენც მას დავემორჩილეთ. რაც შეეხება ამ სტიპენდიების გამგეთა უწესოებას, მეტი მოყუჩების ძალა აღარ შეგვწევს. ქართულ გაზეთებში არა ერთხელ წაიკითხავდით სტიპენდიანტთა მუდარას, სტიპენდიებს ნუ გვიგვიანებთო, მაგრამ არც წინამძღოლს და არც ერთს თქვენგანს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ამდენხანს კიდევ ვითმენდით, რადგანაც ის თავის მართლება, რომელიც მდივნისა და წინამძღოლისაგან გვსმენია, მართალი გვეგონა. ეს მესამე წელიწადი თავდება, რაც სტიპენდიები არსებობს და ყოველ წელს მთელი სამი-ოთხი თვეობით ფულებს არ გვიგზავნიან. შარშანწინ იმ ტელეგრამებზე და წერილებზე, რომელთაც ვგზავნიდით თქვენს საკრებულოში, მდივანმა პასუხ-გადახდილ ტელეგრამაზე გვიპასუხა: „წინამძღოლი ტფილისშია წასული და როცა დაბრუნდება გამოგიგზავნითო“. ვერ მიმხვდარვარ, რას ფიქრობდნენ: რით უნდა გვეცხოვრა ამ ხნის განმავლობაში?! ვერც ის გაგვიგია, რა საჭიროება მოითხოვს, უთუოდ ისეთ ადამიანზე ვიყოთ მიკერებული, რომელიც მთელის თვეობით ტფილისში გულუხვ მასპინძლობას და აუარებელ გასართობს პოულობს?! რითი მართლულობენ თავს?

ა) კრედიტს გვიან-გვიან გვიხსნიან და რა ვქნათო. ჩვენ ეგ გვჯეროდა, მაგრამ ახლა დავრწმუნდით, რომ მტკნარი სიცრუე ყოფილა. ეგ რომ მართალი იყოს, მაშინ რითი უნდა აიხსნას ის გასაოცარი მოვლენა, რომ **ზოგს ჩვენთაგანს თავ-თავის დროზე აქვს სტიპენდია და ზოგს კი სამ-ოთხ თვეობით არ უგზავნიან?**

ბ) რით აიხსნება, რომ აი ამ წუთშიაც რამდენიმე ჩვენგანს ოქტომბრამდე ყველა თვისა მიღებული აქვს და სხვებს-კი **ივნისისა (?!) სექტემბრისა და ოქტომბრისაც** ჯერაც არ მივიღია, და როდის მივიღებთ ეგეც არ ვიცით?!. (სხვათა შორის საინტერესოა შევიტყოთ, როგორ შეიძლება ივლისისა და აგვისტოს კრედიტი გახსნილი იყოს და **ივნისისა-კი** არა?!) აბა გვიბრძანეთ, რა შუაშია აქ კრედიტი! გ) რა უნდა ეწოდოს იმ მოვლენას, რომ რამოდენიმე ჩვენი ამხანაგების დედები ამ სტიპენდიას ადგილობრივ თავ-თავის დროზე იღებენ, როცა უნდათ, და ჩვენ-კი ტელეგრამებზედაც პასუხს არ გვაძლევენ?! ამას ცხოვრებაში ნათლიმამობას უწოდებენ და იურისპრუდენციაში რაცა ქვიან, უთუოდ მდივანს ეცოდინება, როგორც იურისტს.

დ) აღსანიშნავია, რომ ერთს ჩვენგანს ფული არ მისცეს **უკრედიტობის** (?) გამო და ორს მის ამხანაგს-კი „დახმარება“ ორას-ორასი მანეთი მისცეს (რა თქმა უნდა გავლენიან ნაცნობების წყალობით), მაშინ როდესაც სამი-ოთხის თვის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი უბინაოდ იძულებულნი ვართ დავძრწოდეთ. გარეშეებით მცოდნე პირთაგან გვესმის: „თქვენი ფულები ბანკშია წაგებული, აკალეთ მოიგონ და მოგცემენო!“ ასე მასხრად აგდება სხვისის გაჭირვებისა და სხვისის თავმოყვარეობის ასე უდიერად გათელვა შეუძლებელი უნდა იყოს ყოველ პატიოსან საზოგადოებაში. რაც შეეხება ასეთ მითქმა-მოთქმას, ჩვენ და სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ se non e vero, e ben trovato. გვეუბნებიან: სკოლის შენობას განზრახულზე გაცილებით მეტი ფული უნდება და იქ ვაძლევთო. თუ ეგ მართალია, რა გვეთქმის, მაგრამ... ისიც-კია, რომ სტიპენდიების ფული მხოლოდ სტიპენდიებს უნდა ხმარდებოდეს, რადგანაც ამ სიშორეზე თქვენგან დაიმედებულნი წამოვედით, თორემ კრედიტს პეტერბურგში არც ჩვენ გვაძლევენ.

ან და რა საკადრისია ასეთი კადილი: „იანვრიდან სულაც მოგისპობთო“, როგორც თავ. წერეთელმა ერთს ჩვენგანს უთხრა?! საინტერესოა ვიცოდეთ, ეგ სტიპენდიები სამის წლით დაგვინიშნეთ თუ ბოლომდე, და მასთან, თითოეულს თქვენგანს შეუძლიან იგი თავის ნებაზე ხან დაგვინიშნოს და ხან წაგვართვას, თუ ეგ დამოკიდებულია საერთო კრედიტზე?!.

პირველად და უკანასკნელად მოგმართავთ თქვენ ამ ღია წერილით, რადგანაც თქვენი მოვალეობაა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოთ თქვენს საქმეებს და თუ თქვენც არ მიაქცევთ ყურადღებას ასეთ უწესოებას, ჩვენ **იძულებული ვიქნებით** უმაღლეს მარშლობას ვსთხოვოთ ცოტა წესრიგი შეიტანოს სტიპენდიების **კრედიტში. ჯერ-ჯერობით** ეგ წერილი რუსულ გაზეთებში იმიტომ არ მოვათავსეთ, რომ სხვების მაგიერ ჩვენა გვრცხვენია.

იმედი გვაქვს ამ ჩვენს მიმართვას სხვა ქალაქების სტიპენდიანტებიც დაუჭერენ მხარს.

**პეტერბურგელი სტიპენდიანტები.**

# მოწერილი ამბები

**ბათომი.** ბათომის ქართულ სკოლაში 200 მოწაფე სწავლობს. მათში 17 ქართველი მაჰმადიანი ბავშვია. სხვათა შორის აქ არის მასწავლებლად ქართველი მაჰმადიანი ბეგი თავდგირიძე, რომელიც ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებს ოსმალურს ენას და არაბულს ანბანს ასწავლის.

ეს გარემოება უნდა აიხსნას მით, რომ ქართველ მაჰმადიანთა მოლებს და ხოჯებს აღარ ექმნებათ საფუძველი სთქვან, რომ ქართველები ჩვენს ბავშვებს ჩვენის სჯულის ენას არ ასწავლიანო. ეს კი დიდი სიძნელე არის და ამისთვისაც დღეს აქ ქართველ მაჰმადიანთა ბავშვების რიცხვი 17-ტია. შემდეგისათვის უფრო მეტი იქნება.

თვითონ ამ თავდგირიძეს ქართული წერა-კითხვა კარგად აქვს შესწავლილი, ქართული ანბანი მას ოსმალეთში უსწავლია.

თავდგირიძის აზრით, ოსმალეთის ქართველი მაჰმადიანები დღეის შემდეგ ქართულ ენას ვეღარ დაჰკარგავენ, მათ შეიგნეს ბევრს ადგას, რომ იგინი გურჯები არიან და მათი ენა და წიგნიც ქართულია. ანბანის გავრცელებას მხოლოდ პატრონობა უნდა.

სკოლის ხარჯი იფარება სხვა და სხვა საღამოების შემოსავლით, მაგრამ სამწუხაროდ ამ ბოლო დროს ასეთ შემოსავალმაც დიდად დაიკლო, რადგანაც ბათომში ქართველებივით საღამოებს ჭეშმარიტად ბერძნები, სომხები, თათრები, რუსები და სხვანიც, რაც შემოსავალს დიდად უკლებს ამ სკოლას.

ამიტომ დღეს სკოლა უხერხულ მდგომარეობაშია და თუ მას არაფერი შველა და რამე წყარო არ გამოიძებნა, შეიძლება, რომ სკოლა ამ ორი წლის შემდეგ დაიკეტოს.

ასეთ გარემოებაშია დღეს ბათომის ქართულ სკოლის საქმე.

ბათომის ქართულ ეკლესიის კედლები უკვე აიტანეს, თაღი გადიხურა. სხვა ნაწილი დასამთავრებლად ფულს აგროვებენ. თუ ძალა ექმნათ, ერთ წლიწადს დამთავრდება ეკლესია. ეკლესია ქართულის გეგმისა და ხუროთ-მოძღვრების არის, აქ ბიზანტიურისას. გოტიურსა და რომაულ სახეს ადგილი არა აქვს.

ბათომის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიას, რომელიც აშენებულია ზუბალაშვილების ფულით, დღეს კარგად ცნობილი პატრი დონ გაბრიელ ასლანიშვილი განაგებს. პატრი დონ გაბრიელ „დურდისა“ კარგად ცნობილია ქუთაისისა, გორის და მთელს კათოლიკობაში, როგორც მხნე ერთგული მოძღვარი და დაუღალავი მუშაკი ქართველ კათოლიკეთა სასკოლო და საეკლესიო საქმეების. ეს მღვდელი აქ გადმოუყვანიათ დონის-როსტოვიდან, სადაც რამდენსამე ხანს მსახურებდა და სადაც მან დასტოვა კარგი სახსოვარი.

ასეთ ვრცელს საყდარს, როგორიც არის ბათომის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია, დღეს ჰყავს კარგი მზრუნველ-მოძღვარი, რომლის მეთაურობითაც აქ ქართული ენა არას დროს არ აღმოიფხვრება და ეკლესიაც დაცული იქნება უვნებლად ყოვლის მახლობელ მძლავრის წვეთებისაგან.

ბათომში ქართულ წიგნების წარმოების საქმე ერთობ დაქვეითებულია. აქ არსად მოიპოვება ახალი ქართული წიგნები. თუმცა ბევრს ადგას არის ამის მოთხოვნილება. ქართულ ახალ წიგნებს თხოულობენ, მაგრამ მიმწოდებელი არავინ არის. საკომისიოდ აქ წიგნებს არავინ ჰგზავნის და მაღაზიის პატრონები-კი არ იბარებენ და საქმე ასეა შეფერხებული. **ზ. ჭ.**

—

**ს. დამისყანა.** დაიწყო რთველი და აარჩივნენ ჩვენში ახალგორელი ჩარჩ-ვაჭრები თავიანთ თუნგ-ძაბრ-რუმბებითა და ყოველ გლეხკაცისა თუ კეთილშობილთა თავზედ მდგომნი ხმა-მაღლა გაიძახიან. „ეს ძველი ოთხი ორიგოა“ ეს ხომ პირველი არ არის: ასე ხდებოდა და ხდება ახლაც, ესენი დიდიან კაცობას ჩანან ტომრებით; ამ ნაირად მშრომელი ხალხის ნაწვალ-ნაღაგი მიდის ვაჭრების ხელში და სულ მცირე ფასად ნაყიდი ნაჭირნახულევით ესენი ჯიბეს ისქელებენ. ამათ კარგად იციან, რომ არა ჰყავს გულ შემატკივარი ხალხი, რომ გლეხის ნაჭირნახულევისათვის ბაზარი გაეჩინათ, სარგებლობენ ამ გარემოებით და ყველა მოსავალს ჩალის ფასად იგდებენ ხელში, ახალგორი პირდაპირ მახეა ქსნის ხეობაში მცხოვრებთათვის. აქაურმა ვაჭრებმა კარგად იციან, რომ აქედგან გლეხი ტფილისსა და გორს ძნელად თუ წავა სავაჭროდ და ამიტომაც ერთიორად აყიდვინებენ ყველაფერს, რაც გლეხისათვის საჭიროა. ამ ნაირად დადუპულ ბევრ მაგალითთა შორის, ერთს მოვიყვან. ქსნის ხეობის ერთ სოფელში ეხლაც სცხოვრობს ერთი მეცხვარე, მეტ სახელად ტუხა, რომელსაც ერთ დროს 2000 სული ცხვარი ჰყავდა. ტუხას სიამოვნებას ყველა სცდილობდა და როცა-კი ახალგორში ჩამოვიდოდა აქეთ-იქით ეწეოდნენ და ხელადებით უმასპინძლდებოდნენ, მაგრამ ერთი უფრო მოხერხებული გამოდგა ყველაზედ, ტუხას კული მოიგო და დაუნათლიმამდა. ნათლიამ ნათელმირონობის ხათრით ისე დააჯერა, რომ ეს ამოდენა ცხვარი ხელიდგან გამოაცალა, მაგრამ იმავე ნათელ-მირონობის ხათრიანობით ამშენებელმა ნათლიამ ნათლიმამას აქ-ნახევარი ცხვარი დასაჩუქრა, რისთვისაც ჩვენი ტუხა ეხლაც მადლობელია, რომ მისი ამგი ისევ იმას ჩაუგდო ხელში. ამისთანა მაგალითები ბევრი ხდება, მაგრამ ვინ არის პატრონი და გულ შემატკივარი?

წრეულს ჭირნახულიც და ღვინოც ძალიან ნაკლებად მოვიდა; ხალხი ეხლავე უიდულობს წლის საზრდოს. ტკბილი ჩვენში 7—8 მ. იყიდებოდა.

ტირიფონის მინდორში, რომელიც ითვლება ვაკე ქართლის „ბეღლად“, თაგვმა დიდი ზარალი მისცა ჭირნახულს. და ბალახს და, თუ ვისგანაც ჯერარს, ყურადღება არ მიექცა ამ გარემოებას, ჩამავალ წლის ნათესსაც დიდ ზარალს მისცემს და ხალხს ხელიდგან ჭირნახულს გამოაცლის. **უ. ფხალაძე.**

# უცხოეთი

**ბრიანის ახალი კაბინეტი.**

ბრიანმა უკვე შეადგინა ახალი კაბინეტი, მაგრამ ამან საფრანგეთის ხალხი მაინც არ დაამშვიდა სავსებით. გაზეთები გაცხარებით განაგრძობენ ახალ კაბინეტზე მსჯელობას და ათავსებენ სხვა-და-სხვა პარლამენტარის აზრს. ბევრი მხარს უჭერს კაბინეტს და ბევრი ჯერ თავის აზრს არ ამბობს და მთავრობის დეკლარაციას უცდის.

პარიზში, მუშებს შორის კვლავ მღელვარებაა. სოციალისტთა ჯგუფი და შრომის კონფედერაცია ხალხში ფურცლებსავრცელებენ და დიდის მიტინგების გასამართავად მოუწოდებენ. ყველაფრით ეტყობა, რომ დიდი უკმაყოფილება და პროტესტი მწიფდება ახალ კაბინეტის წინააღმდეგ.

**ახალი მინისტრები საფრანგეთში.**

ბრიანის კაბინეტის ახალი მინისტრები სულ ახალი ხალხია. არც ერთი მათგანი ჯერ მინისტრად არ ყოფილა. დაფუძნების მიწევით, რომელსაც უმაღლესი ადგილი ეჭირა ფრანგ-მასონებში, ბრიანს სურდა აეცდინა საყვედური, ვითომც მას რამის დათმობა ჰსურს კლერიკალებისთვის.

იუსტიციის მინისტრი ჟირარი სენატორია, პროკურორად ნამყოფი.

სახალხო განათლების მინისტრი ფორი 1870 წელს გამბეტას კანცელარიის უფროსი იყო, 20 წელიწადია დეპუტატად არის და 1898 წლიდან 1902-მდე პალატის პრეზიდენტის მეორე ამხანაგად იყო.

საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი მორელი მეაფთიაქეა, უკიდურეს პროტექციონიზმის მომხრე.

**მღელვარება ესპანიაში.**

ესპანიაში კვლავ მღელვარებაა. სენატი თავის მუშაობას განაგრძობს და დაამტკიცა კიდეც ახალი კანონი, რომლითაც აღკრძალულია ახალ კონგრეგაციების დაარსება.

ადმინისტრაციის განკარგულებით, ჯარი სასტიკ რეპრესიებს იღებს მუშების წინააღმდეგ, რომელნიც სხვადასხვა ადგილას მიტინგებს ჰმართავენ. ხალხს იარაღით ჰფანტავენ და მათაურებს აპატიმრებენ.

**პორტუგალია.**

პორტუგალიის ახალმა მთავრობამ დეკრეტი გამოსცა ამნისტიის შესახებ. ამნისტია ეხება ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთ, გარდა ყოფილ მინისტრებისა.

**ბრაზილია და გერმანია.**

გერმანიასა და ბრაზილიასა ახალი ხელშეკრულობა დაუდიათ, რომლის ძალითაც ბრაზილია მოვალეა თავის ჯარის ინსტრუქტორებად მიიწვიოს მხოლოდ გერმანელები. ბრაზილიაში, იმპერატორის ვილჰელმის ნებართვით, იგზავნება ამ ჟამად 20 ოფიცერი ჯარის რეორგანიზაციის მოსახდენად.

## რუსეთი

**სათათბიროს დეპუტატების აზრი მინისტრის კასოს სიტყვაზე.**

როგორც მკითხველთ იციან, სახალხო განათლების ახალმა მინისტრმა კასომ სახელმწიფო სათათბიროში საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა. სათათბიროს დეპუტატების უმრავლესობა ამ სიტყვამ ვერ დააკმაყოფილა. ოქტომბრისტებს მ. კაპუსტინსა და ე. კოვალევსკის კულუარებში ასე უთქვამთ: თავის სიტყვით მინისტრმა უპირველესად ის დაგვანახვა, რომ ის პიროვნებას მოკლებულია; თუ მეტი სათქმელი არა ჰქონდა რა, უმჯობესი იყო თავის მაგივრად გამოეგზავნა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორიო. მინისტრმა დაგვანახვა, რომ მას არც კი სცოდნია ის, რაზედაც ლაპარაკობდაო.

უფრო სასტიკია, რასაკვირველია, ოპოზიციის დეპუტატების აზრი.

— პირველ საპროგრამო სიტყვაში —ამბობს პ. მილიუკოვი—საცოდავი იყო ახალი მინისტრი. არც აზრის შორს მჭვრეტელობა, არც ჰორიზონტის სიფართოვე მის სიტყვაში ჩვენ ვერ ვნახეთ. მისი სიტყვა იყო უბრალო სადეპარტამენტო ცნობა, შედგენილი, როგორც ეტყობა, სამინისტროს მოხელისგან.

— შეგირდის სიტყვა იყო! ასე დაუხასიათებია მინისტრის სიტყვა ს.-დ. მეთაურს პოკროვსკის.

— კასომ დაგვანახვა, რომ ის ისევე შავგვრემანია, როგორც შვარცი! უთხუნჯნია როზანოვს.

— ალაპარაკეს კასო საყოველთაო განათლების პრინციპის შესახებ, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ძნელი იყო მისი მდგომარეობა და ამიტომ მისი დებიუტი კარგი ვერ გამოვიდა. ეს კასოს ბრალი არ არის, არამედ იმათი, ვინც მას ეს შეუფერებელი როლი დააკისრა! უთქვამს მაკლაკოვს.

მოსწონებია კასოს სიტყვა მხოლოდ სათათბიროს სამღვდელოებას და სავსებით დაკმაყოფებულა სიტყვის ნაწილით, რომელიც სამრევლო სკოლებს შეხება.

მღვდლებზე უფრო შორს წასულა პურიშკევიჩი, რომლის მეთაურობითაც მთავარანგელოზის კავშირის წევრ დეპუტატებს გადაუწყვეტიათ, ამ სიტყვისთვის კასო არჩიონ კავშირის საპატიო წევრად.

## წერილი რედ. მიმართ

ამას წინად მკითხველს, გაზეთის საშუალებით, (იხილე „სახალხო გაზეთი“ № 103) ვაუწყე ჟურნალ-გაზეთების უწესოდ მიღების საქმე და ამის მიზეზად ვაყენებდი ბ. თალაკვაძეს. მე მეგონა ამ საშუალებით იგი თავის ნაკლს გაისწორებდა. ის კი არა, ბ. თალ-ძე მთელ წერილს მიძღვნის საპასუხოდ (იხილე „სახალხო გაზეთი“ № 133), რომელშიაც ის მიკიჟინებს ფაქტების დამახინჯებას. ვაუწყებ მკითხველს—ფაქტები მე დავამახინჯე თუ ბ. თალაკვაძემ.

მე პირველ ჩემს წერილში ვსწერდი; დღეს ჟურნალ-გაზეთების საქმე ცუდად არის დაყენებული, ხან მოდის გაზეთი და ხან არა, თუ მოვიდა ისიც დაფლეთილ დაწეკვილი და მასთან ხელის მომწერლებს აკლია, ხან სულაც არ მოდის. და აი დღეს მეათე დღეა, რაც ოზურგეთს გაზეთი არ უნახავს. ამას გარდა ბ. თალეკვაძეს უსაყვედურებდი გაზეთის დამტარებლის უყოლობაზე და ბოლოს ვაფრთხილებდი, რომ ჟურნალ-გაზეთების საქმე რიგიანად მოეწყო.

ბ. თალაკვაძემ იუკადრისა ყველა ზემო ნათქვამი და იძახის: „თუმცაღა ჟურნალ-გაზეთები დღემდე რეგულიარულად არ მოდიოდა და არ მოდის, მაგრამ ამის მიზეზი მე კი არ ვარ, არამედ ის აგენტურა რომელნიც ტფილიში იმყოფება, პირიქით მე პირნათლად ვასრულებ ჩემს მოვალეობას. სად. ნატანებში მყავს დაყენებული კაცი, რომელიც შესამჩნევად ასრულებს თავის დანიშნულებას, ხან სად. ნატანებში არ მოჰყვება კვიტანცია, მე მაშინვე ვგზავნი დეპეშას, რის ვაი ვაგლახით ვღებულობ გაზეთებს. (საბრალო ტანჯული!) და როცა არ მოდის ნატანებში, მაშინ ის დაყენებული კაცი ე. ი. ვარ. ყარეგიშვილი გვამცნობს, და ჩვენ კი ოზ-ს ვერ ვამცნეთ, და ვინც კი გაზეთს კითხულობს, იმისათვის ყველაფერი გამორკვეული რჩება, იმის მიზეზი ყველამ იცის გარდა ოზ-სა, და შემდეგ დასძენს არ ყოფილა ჯერ ამდენი ხნის განმავლობაში (3 წელ.) მაგალითი, რომ გაზეთს დაეგვიანებინოს, ან ფულის დროზე გაუგზავნობით, ან ჩვენის დაუდევრობით“. როცა ზემო აღნიშნულ წერილს ვკითხულობ სწორედ მეცინება, ნუ თუ არ სწითლდებით, როცა ყველა ამას სწერთ? ნუ თუ ამგვარის „სიმართლით“ გინდა ხალხი დააჯეროთ? ბ. მოსე! უნდა გახსოვდეთ ყველაფერი, რაც ამ სამის წლის განმავლობაში თქვენგან ჟურნალ-გაზეთებს ბედი გადასწყვეტიათ... მაგრამ რადგან თქვენ გულ-მავიწყი ყოფილხართ, ამისათვის იძულებული ვარ მოგაგონოთ შემდეგი: როცა თქვენ ბ. გაჩეჩილაძესთან რაღაც „ნედოროზუმენიე“ მოგივიდათ, რამდენს დღეს არ უნახავს ოზურგეთს გაზეთი როცა გაჩეჩილაძის შემდეგ აგენტურა სხვამ აიღო, რამდენს დღეს არ მოსულა ოზურგეთში გაზეთი, შემდეგ როცა აგენტურა გორდელაძის ხელში გადავიდა რამდენ დღე არ მიგვიღია? არ მიგვიღია გაზეთი თქვენგან ფულის გაუგზავნელობით! თქვენ კი გაიძახით, აგერ სამი წელიწადი გადის და ჯერ არ მახსოვს რომ ჩემის დაუდევრობით ან ფულის გაუგზავნელობის გამო გაზეთი არ მოსულიყოსო.

როდის გაუგზავნეთ თქვენ დეპეშა აგენტურას, რომ მას კვიტანციები გამოეგზავნა? ეს მაშინ, როცა ჩემი წერილი წაიკითხეთ, რომ ის მასალად გამოგეყენებინათ და დაგეწერათ; „ვგზავნი დეპეშას, რის, ვაი-ვაგლახის შემდეგ ვღებულობ გაზეთსაო“.

ნეტა ვისი ბრალია, რომ გაზეთები ხან დახეული და ხან ნაკლები მოდიოდა? მეერტლისა? იმისი, ვისაც ნატანებში ჩამოაქვს? თუ იმ თქვენგან დაყენებულ ყარეჯიშკილისა, რომელიც „პირნათლად“ ასრულებს საქმეს. ამ უკანასკნელის „საგმირო საქმენი“ უკვე იყო ერთ-ერთ ქართულ გაზეთში აღნიშნული. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ყოველ-დღე ლეჰავთ გაზეთსა და მე კი არ მაინტერესებს ის (გაზეთი), მაინც მოგაგონებთ. თქვენ სიტყვიდან გამოდის მე ვითომ გაზეთი არ მაინტერესებდეს და თქვენ კი მას ზეპირად სწავლობდეთ), მას იმდენად აინტერესებს გაზეთი რამდენადაც... ნეტა ვიცოდეთ, ვინ გყავთ, ბ. მოსე, სახეში, როდესაც გაიძახით: „გაზეთის დროზე მიუღებლობის მიზეზი ყველამ კარგად იცის, გარდა ოზ—ლისას“. მაგრამ ვფიქრობთ რომ ეს „ყველა“ ალბად თქვენ იქნებით

თქვენ ამბობთ: „ჩვენ აგენტობა ვიკისრეთ არა მოგებისათვის, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ საზოგადოებას მოვაწოდოთ ჟურნალ-გაზეთები დროზეო“. ამის შემდეგ შორს წასვლა არ გვინდა. აი, მაგ. ერთ მშვენიერ დღეს, ვგონებ კვირას, მოდის ჟურნალ-გაზეთები, თქვენ ეუბნებით გაზეთის დამტარებელს: „ჩვენ ეხლა დუქანს ვკეტავთ, და ეს ხელის-მომწერლების გაზეთები იყრება აქ, შენ კი წაიღე გაზეთები, ვერ მოითმენენ და გაჰყიდე ყველასო“.

სამსახურიც ასეთი უნდა! რას ლაპარაკობთ,—ის მოგებისათვის კი არ იწერს გაზეთს, არამედ ხალხის სამსახურისათვის!

ბოლოს ბ. თალაკვაძე მოუწოდებს ყველას, რომ დახმარება გაუწიონ გაზეთების გავრცელების საქმეში. აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი! მხოლოდ ეხლა გინდათ მოიპოვოთ „სიმპატია“ ხალხისაგან?! ამით ვათავებ თქვენთან საუბარს და ეხლა მკითხველისათვის მიმინდვია, დააფასოს: მე შევიყვანე საზოგადოება შეცდომაში თუ თქვენ... **ოზურგეთელი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენივე პატივცემულ გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე ბ-ნ „ბერებიანთ-უბნელს“.

საქმე იმაშია, რომ „სახალხო გაზეთის“ მე—102 №—ში მოთავსებული იყო ზემოხსენებულ კორრესპონდენტის წერილი, რომელშიაც—სხვათა შორის—შემეხო მეცა. პასუხად იმ სიმართლეს მოკლებულ წერილისა მოძღვრულად ვურჩევ „ისედაც გაძვალტყავებულ ხალხის“ მლმობელს (?)“ —შემდეგსა: უწინარეს ყოვლისა სარწმუნო წყაროებიდგან (და არა უსაქმო—მეჭორეთა ჩაგონებით) სისწორით შეაგროვოს გამოსაქვეყნებელ პასკვილის ფაქტები და შემდეგ გამოაქვეყნოს გაზეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში—გარდა იმისა, რომ დაჰკარგავს ყოველსავე ნდობას პატივცემულ მკითხველ საზოგადოების წინაშე—ცილის წამებისა და შეურაცხყოფისათვის პასუხს გებაშიაც მიეცემა წინაშე სამართლისა და წმინდა სინიდისისა.....

გნებავთ, ბ-ნო ბერებიანთ-უბნელო, დავარწმუნო პატივცემული საზოგადოება თქვენს აჩქარებულ სიყალბეში? —აბა, დასასახელეთ **ერთი** მაინც გლეხკაცი, რომელთანაც მივსულიყვე „სტრაჟნიკის თანხლებით“ და გამომეტანოს ან ფარდაგი და ან ქვაბი... ნუ-თუ იკადრებთ და არ გამოსტყდებით, რომ თვით—თქვენ ამ ოთხ წელიწადში (რაც თქვენ გემსახურებით) სრულებით არა მოგიციათ-რა ჩემთვის, მაგრამ მე მაინც არ მიკადრნია მოვსულიყვე როდისმე თქვენთან „სტრაჟნიკის თანხლებით“?.. ნუ—თუ არ იცით, რომ თქვენს ფრიად მახლობელ ნათესავს წელიწადზედ მეტია ჰმართებს თავისის ქალის ჯვარსაწერი, მაგრამ არც იქ მივსულვარ „სტრაჟნიკის თანხლებით“. დასამტკიცებლად ამისა მოითხოვეთ ექსარხოსის სამწერლოში ჩემი მრევლის შესახებ საქმე 1906 წლ. № 311, გულდასმით აღმოიკითხეთ იმ საქმიდან მრევლის —მიერ დადებული ვალდებულებანი; შემდეგ იმ ვალდებულების ქაღალდებს დაუპირდაპირეთ ის ხელწერილები, რომელნიც მიჭირავს გ. ი. ფიცხელაურისაგან (რომელსაც ჩემი ჯიბიდგან, და არა მრევლიდან მიღებული აქვს სახლის ქირა სრული ცხრა თუმანი) და—აი, მხოლოდ მაშინ ჩაიხედავთ, ბ-ნო ბერებიანთ-უბნელო, საქმის სინამდვილეში და ნათლად დაინახავთ—თუ ვინ არის **მართლა** ხალხის შემბრალებელი—თქვენ, თუ... სხვა? აი, სწორედ ეს საქმე ცხადად დაგანახვებთ —თუ რამდენად სიმართლე—პატიოსნებას ემსახურება თქვენი წერილის ის ნაწილი, რომელშიაც ეგრე უსამართლო და ულმობელ ცილისწამებით მკიცხავი მე....

დიახ, ბ-ნო ბერებიანთ-უბნელო, თქვენი წერილის გასამტყუნებელი და ჩემი გასამართლებელი საბუთების შესახებ მაქვს პატივი თამამად მოგახსენოთ: „omnia mea mecum porto“—„ყოველსავე ჩემსას (სიმართლეს) ჩემთან ვატარებ“,— ამისათვის, კვლავ მეგობრულად გირჩევთ —შემდეგისათვის ფრთხილად იყავით!...

პატივის ცემით—პატარძეულის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი ვას კოზმოვი.**

## განცხადებანი


**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., შეპ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—212)

**ექიმი** ნიკო ერისთავი ბათომში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლავებით (ბავშვების ფაღარათით, და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნაზველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—3)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირების გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ბგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმაცი:** 5—3 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის მუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—711-21)

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—10)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ნაკადული“**

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელისმომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად 1. მარლეის აჩრდილი,—ჩარლზ დიკენსის მოთხრობა. მოთხრობაში იქნება ჩართული სურათები. 2. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

**მოსავალი**

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის გაგზავნას უფასოდ.

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე უფასოდ თითო წიგნს-ბროშურას მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

**ცენტრალური აზიური ბუფეტი**

**პურ-ღვინო**

ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

ვაჭრობა ღამის 2 საათამდე

(20—160—4) ამხანაგობის გამგე **არჩიპო ჭიჭინაძე.**




მოითხოვეთ

**სწორე და მკვიდრი საათები!**

ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები ხამი სახურავით «ლ ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| | |
|---|---|
| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—11)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების მაღაზიას**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხა) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა** ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დომები და ზურგიელები**

**მილეგულია ღვინის ორაგული** (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—17)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

პოლტავის საადგილ მამულო ბანკის

**მთავარი აგენტი**

(ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებისათვის)

ამით პატივისცემით საყოველთაოდ იუწყება, რომ სხვა და სხვა პირობების შეხატყობად (გრძელ-ვადიანისა, მოკლე-ვადიანისა თუ სხვა-გვარ სესხის ასაღებად) და განცხადებათა მისაღებად, პირდაპირ მიმართონ ზოლმე უმთავრესს აგენტს გილია მინოვის ქუჩა, N 9, ალექსანდრე სერგეის ძე ნოვიცკის. (4—177—1)

**გთხოვთ დარწმუნდეთ**

რომ იაფი და საუკეთესო ხარისხის საათები, ოქროსი და ვერცხლის ნივთები შეგიძლიანთ იყიდოთ მხოლოდ

**ა. ი. გოლდშტეინთან,**

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. (5—166—4)

ვაუწყებ პატივცემულ მყიდველთ, რომ

**ძეხვის მაღაზია**

რომელიც პუშკინის ქუჩაზე იყო, მარილმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, გადატანილ იქმნა ნეკრასოვის ქუჩაზე, „ვერსალის“ სასტუმროს პირდაპირ, ამ სახელწოდებით

გერმანული **ძეხვის** მაღაზია

ფირმა არსებობს 1880 წლიდან, ძეხვის ელექტრონის ქარხანა მოთავსებულია სოლოლაკის ქუჩაზე, საკ. სახლში, № 25, სადაც ვსთხოვთ მიჰმართონ ნარდად მყიდველებმა.

(5—165—3) პატივისცემით **რ. ა. პოლსკი.**

**ტფილისის კანტორა**

აუწყებს ბ.ბ. მსყიდველებს, რომ გავხსენით შაქრის სავაჭრო

**ხარკოვის ამხანაგობისა შაქარ-რაფინადის ქარხნისა**

ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ. სახლი № 3, ტელეფონი 567. საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. ა. ზ. სნეჟკოვი.

(10—144—8)


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სონღულაშვილი.**